





ითხოვენ. აღნიშნული კომისიარი შეამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მიღებულ იქნას სათანადო ზომები სურსათის უფასოდ მიწოდებისათვის და მომავალში მათი უზრუნველ საყოფად, სათესლს შაწოდებით. ამასთანავე ითხოვს დაუყონებლივ გაგზავნილ იქნას ექიმი და ფერ-შალი საჭირო მედიკამენტებით ეპიდემიურ სენთან საბრძოლველად.

ოქლის კომისიარი იუწყება აგრეთვე, რომ ოლქში აუარებელი სისხლის სამართლის საქმეებია თავმოყრილი და შეამდგომლობს გაგზავნილ იქნას მსაჯული, რომელიც კანონიერ მსჯელობას მისცემს ამ საქმეებს.

**გერმანელ კოლონისტთა საქმეები.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსებული გადასახლების განყოფილებამ შეამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ტფილისის გუბერნიის ში დასახლებულ გერმანელ კოლონისტთა საქმეები და პლანები გადაცემულ იქნას მის განკარგულებაში.

**სომხებ ლტოლვილთა მოლოდინი ფოანში.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო სომხეთის ფოთის საკონსულოდან, რომ საკონსულო ამ დღეებში მოელის ფოთში ნოვოროსიიდან სომხებ ლტოლვილებით დატვირთულ გემ „ფორტუნას“ და ითხოვს მიღებულ იქნას წინასწარი ზომები მათი სომხეთში გადასახლებისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემულ იქნა სათანადო განკარგულება, რათა ისინი გაშვებულ იქნას საქართველოს ტერიტორიით—სომხეთში, იმ პირობით, რომ მგზავრობის დროს არსად არ შეჩერდნენ, ან არ დაჩინდნენ.

**ზუგდიდის ციხიდან გაქცეული ტყვეების დატუსაღება და დახმარება.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ზუგდიდის ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„აღდეს. 22 მარტს, წელენჯიხაში მოკლულ იქნა ერთი ზუგდიდის ციხიდან გაქცეული ტუსაღი. შეპყრობილ იქნა ხუთი გაქცეული ტუსაღთაგანი. იმედი მაქვს რომ შევძლავს სხვებისაც“.

**ტფილისის თვითმართველობის გამგეობის შუამდგომლობა 30000000 მ. სხვის მიცემის შესახებ.**

ქალაქ ტფილისის თვითმართველობის გამგეობამ, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, შუამდგომლობა აღძრა სამინისტროს წინაშე, რათა მიეცეს ქალაქის ხაზინიდან 30000000 მ. გრძელ-ვადიანი უსარგებლო სესხი. გამგეობა თავისი ვრცელ და დასახლებულ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ქალაქი ამ წამად რამოდენიმე მილიარდის პატრონია, მაგრამ საერთო ეკონომიური კრიზისი ხელს უშლის მას შემოსავალი გაუთანაწიროს ვასავალს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის მხრივ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა დაქმავთვით იქნას გამგეობის შუამდგომლობა.

**ადერციჯანის ლოკალიზაციის მდგომარეობა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული მზრუნველობის განყოფილების მიერ მიღებული ცნობებით ახალციხის და ახალქალაქის მზარბეში ყარსის ოლქიდან ჩამოსული მუსულმანი ლტოლვილები განიცდიან აუტანელ მდგომარეობას სურსათის და ტანთსაცმელის მხრივ. მზრუნველობის განყოფილებამ შესაფერა წინადადებით მიმართა ადერციჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს, რათა გაგზავნილ იქნას ადგილობრივ სპეციალური რწმუნებული ლტოლვილთათვის მატერიალურ დახმარების აღმოსაჩენათ. თავის მხრივ-კი შინაგან საქმეთა სამინისტრო ღებულობს ყოველივე ზომებს ლტოლვილებს უმწველ მდგომარეობის შესამსუბუქებლათ.

ნაწილითავის დედა სამშობლოს შეუერთდებოა.

**გ. ხალაყაია** მოხსენებით უკამათოდ მიიღეს პროექტი საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 5 მილ. მან. გადაღების საგანგებო ხარჯების დასაფარავად.

**ფ. გომარტელის** მოხსენებით დამფუძნებელი კრება უკამათოდ იღებს დეკრეტს ევროპაში კომერციულ სააგენტოების დასაარსებლად და ეკონომიურ მისიის გასაგზავნად 20 მილ. მან. გადაღების შესახებ. მისივე მოხსენებით მიიღეს ფოსტა-ტელეგრაფის ნიხრის გადაღების კანონი.

**ბ. ხალაყაია** მოახსენებს დამფუძნებელ კრებას კანონ-პროექტს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონის დაწესებულებათა შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ. ამ დეკრეტის შესახებ ვრცელ სიტყვას ამბობს სამ დადიანი, რომელშიც აცხადებს, რომ მართალია, იგი მომხრეა წარმოდგენილ დეკრეტსა, მაგრამ სურს ისარგებლოს შემთხვევით და აღნიშნოს ის უწყისობები, რომელიც გამეფებულია უწყებამო. ორატორი აღნიშნავს, რომ უწყებამო ისეთი ამბავი ხდება, რაც არ შეეფერება დემოკრატიულ წყობილებას. პროფესიონალურ კავშირის უფლებები ილახება, იდეებიან არა სოციალ-დემოკრატები, მოხელეებს ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი უდიერად ეპყრობა, გამეფდა ბიუროკრატებში, რომ ვაქსიმან-დათ ტელეგრაფიდან არა სასურველი პირები ეგზამენები შემოიღეს მათთვის. ერთ და იგივე დანაშაულისათვის, სხვა და სხვა სასჯელი არსებობს.

**ნ. რამიშვილი** უპასუხებს სამ. დადიანს და აღნიშნავს თუ რა მდგომარეობაში იყო ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ამიერ-კავკასიის სემის დროს და რა მდგომარეობაში არის ამ წამად. ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამო რევოლუციის შემდეგ გამეფებული ანარქია მოსილი, უწყებამო ნორმალური მუშაობა სწარმოებს, საქმე გაფართოვდა. თუ წინად იყო საქართველოში 89 ფოსტა-ტელეგრაფი მას ამ წამად 153 ფ.-ტელ. განყ. აქვს. აბონენტი იყო ტფილისში 1.800, ამ წამად 2.300 აბონენტია. 200 მეტა საერთო ტელეფონები მოუწყო, ოქლის სახელოსნო გაფართოვდა. იქ ყოველივე საჭირო ხელსაწყოებს აკეთებენ. გატარდა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამო ნაციონალიზაცია და პარტიულ დევნას ადგილი არ აქვს.

(მინისტრის სიტყვის სტენოგრაფიულ ანგარიშს შემდეგ დაგებულათ).

სიტყვა ეძლევა ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს მგელაძეს, რომელიც აუარებელი ფაქტებით აბათილებს იმ ბრალდებებს, რომელიც წამოუყენა ფ. ტელეგრაფის ადმინისტრაციის ს. დადიანმა. ოლქის უფროსი აღნიშნავს, რომ დადიანის მტკიცება, რომ სხვა პარტიის წევრ მოხელეები იდეებიან სამსახურიდან არ შეეფერება სიმართლეს. ჩვენ მოხელესაგან მოვითხოვთ მოვალეობის პირნათლად ასრულებას და სახელმწიფოებრივ ნიადაგზე დგომას. კამათი გადაიღო საღამოს სხდომისათვის. კრების დახურვამდე მოისმინეს საბოლოო ტექსტები საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 5 მილ. მან. გადაღების შესახებ და დეკრეტი ევროპაში კომერციულ სააგენტოების დასაარსებლად და ეკონომიურ მისიის გასაგზავნად 2) მილ. მან. გადაღების შესახებ. საღამოს კამათი გაგრძელდა ისევ ფოსტა-ტელეგრაფის შტატებზე-დეკრეტის დასაცავად ილაპარაკეს კ. ნინიძემ და ოლქის უფროსმა მგელაძემ, წინააღმდეგ უწყებას პოლიტიკის ს. დადიანმა და ი. ნუცუბიძემ. მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ მოხდა დეკრეტის განხილვა მუხლობრივით. ის მიღებულ იქნა.

ოლ. სოლოვოვილი; მოხსენებით მიღებულ იქნა აგრეთვე დეკრეტი—დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის 500000 მან. გადაღებისა.

დასასრულ კრებამ მოისმინა სახელმწიფო კონტროლიორის ბ. გოგოიანიშვილის განცხადება, რომ ის მთავრობის დაუღებობით უნდა გაემგზავროს საზღვარ-გარეთ და შესაძლებლათ სცნობს თუ არა ამას დამფ. კრება. დამფუძ. კრებამ გოგოიანიშვილის განცხადება დაადასტურა.

სხდომა დაიხურა დამის 2 საათზე.

**კოლონიათა მინისტრის განკარგულებაში აღმოჩენილი მონეტები.**

მარტის 24. საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ბეგეჭკორმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან შემიღებ ნოტა მიიღო: ბ-ნო მინისტრო! პარტიე მაქვს გაუწყობთ,

რომ პოლონეთის მთავრობა მზათ არის იცნოს საქართველოს მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია „დეფაქტო“, იმ დრომდე, სანამ საზავო კონფერენცია არ იცნობს ხალხთა სურვილთან შეთანხმებულ „სტატუს“ საქართველოს მიმართ.

პოლონეთის მთავრობას მტკიცეთა სწამს, რომ ამ ორ ქვეყნის საერთო ინტერესები ისე, როგორც ურთი-ერთი სამპატუები ახლო მომავალში საქართველოსა და პოლონეთს შუა მევობრულ კავშირს დაამყარებს. ამ მიზნად პოლონეთის მთავრობა მოხარული იქნება ვარშავაში მიიღოს საქართველოს წარმომადგენელი, რათა ამით დაამტკიცოს თავისი სიმპატია. პოლონეთის მთავრობამ ეხლახან მინისტრ ტიტ. ფილიპოვიჩის თავმჯდომარეობით დანიშნა საგანგებო მისია, რომელიც ახლო ხანში წამოვა ტფილისს, რათა მეგობრული დამოკიდებულება დაამყაროს. ვთხოვთ კეთილ მეგობრულათ მილოთ ზემო აღნიშნული მისია. მიიღეთ და სხვა.

საგარეო საქმეთა მინისტრი პატეკი.

**მდგომარეობა ჩრდილ-კავკასიში**

გუშინდელი „ერთობაში“ დაბეჭდილია საუბარი ბ-ნ ბ. ჩიქვიშვილთან, რომელიც 22 მარტს დაბრუნდა კავკასიიდან. საუბრის შინაარსი ნათელ ყოფს დღევანდელ ჩრდილოეთის მდგომარეობას. მოგვყავს შემოკლებით.

**ქ. კ ა ვ კ ა ვ შ ი .**

ქ. კავკასიში საშინელი უწყისობება. ყოველ ფეხის გადადგამზე ძარცვა-გლეჯა ხდება. ყველაფერი ეს ხდება „წესიერების“ დამკვირვებთა თვალწინ, მაგრამ ისინი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ მძარცველებს. ქალაქის განაპირას, სადაც კადეტის კორპუსია, ჩვენს თვალწინ, კორპუსიდან ასი საეენის მანძილზე, გაძარცვეს ქალაქიდან მომავალი მგზავრები: ერთი მოკლეს და ერთიც დასჭრეს. ყარალები კი არჩენიან გაუდგენენ თავიანთ ზხას.

აოსტზე მდგომი ინგუშები და ოსები გულბულ დაკრეფილი უყურებდნენ ამ სურათს და განაცხადეს:—რომ ვესროლოთ, ჩვენ გვესრიან და დაგვბოკამენო“. ჩვენ მივედით იმ ადგილას, სადაც ეს ბოროტ-მოქმედება მოხდა და დაჭრილი წყვიყვანეთ საავთმყოფოში, მაგრამ არც ერთ საავთმყოფოში ის არ მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ ქრიალობა არ იყო მძიმე, ის კაცი მოუვლელიობისა გამო ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

**როგორ იღებენ ბალშევიკები ქალაქებს.**

სინამდვილეში კი არავითარი ბრძოლა არ სწარმოებს. ხდება მხოლოდ ერთი რამ: 10—15 კაცი შეიკრიბება, გამოაცხადებს თავის თავს მთავრობად, როგორც ეს მოხდა გეორგიევსკიში და კისლოვოდსკიში რკინის გზის მუშებში. მოხალისენი ქალაქს დატოვებენ. (დეპუტებში კი სწევრენ—ქალაქი ბრძოლით დაეტოვებოთ).

ასეთ „გმირულ ბრძოლას“ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ქ. ნოვო-გიორგიევსკი. იქ თურმე დამთ ვილაკებმა თოფი გაისროლეს. მოხალისეები ეგონათ, მტერი მოგვადგო და ქალაქი იმავ საათში დასტოვეს. ხოლო, როცა გაიგეს, რომ ქალაქში არავინ არ შემოსულა, ხელახლად დაბრუნდნენ და მთელ ქვეყანას ამცენს, რომ ნოვო-გიორგიევსკი ბრძოლით უკან დავიბრუნეთო.

**სად იშკოფებიან ბალშევიკების ჯარები?**

არც მოხალისეთა ხელმძღვანელებმა და არც სხვებმა არ იციან დარწმუნებით, —თუ სად იშკოფებიან წითელ-არმიელები. ზოგნი ამბობენ, რომ წითელ-არმიელები ეკატერინოდართან უნდა იყვნენო, ზოგნი კი ლაპარაკობენ, რომ წითელი არმიელები როსტოვს არ გამოსვლიანო, ზოგნი თბობენ იმასაც კი ამბობდნენ, რომ თვით ქალაქ როსტოვშიც არ ყოფილან წითელ არმიელები, როსტოვ ადგილობრივმა ბალშევიკებმა ჩაიგდეს ხელშიო, როგორც ეს მოხდა მაგ. ქ. გროზნოში.

**ბალშევიკების და მოხალისეთა ფრონტი.**

პირველად ყოვლისა ჩვენ გვინტერესებდა როგორც ბალშევიკების, ისე მოხალისეთა ფრონტის გამორკვევა, თუ სად იშკოფებოდნენ ბალშევიკების ჯარები და როგორ იყო საერთოდ ამ ორ „მებრძოლ“ ბანაკში მასის სულიერი განწყობილება.

პირველი წუთიდანვე გამოირკვა, რომ არც ბალშევიკებს და არც მოხალისეებს თერგის ოლქში არავითარი ფრონტი არა აქვთ. ვერ

ნახავთ ისეთ ადგილს, სადაც თხუთმეტი წითელ არმიელი იდგეს და მათ წინააღმდეგ მოხალისენი. არსად ასეთი რამ არ ყოფილა და არც არის. არც პროხლანდიაში, არც გროზნაში, არც ბატალიშანსკში, გეორგიევსკიში და კისლოვოდსკიში არავითარი ფრონტი, არავითარი ბრძოლა არ ყოფილა და არც ამ წამად არის და სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა ყველა ის ცნობები „ფრონტების“ და გმირული ბრძოლის შესახებ, რომელიც მოდიოდა დეპუტებთან.

**ოსეთისა და ინგუშეთის მმართველობაში.**

ისინი აცნობენ მოქალაქეებს, რომ—1) დღეის რიცხვიდან მთელი ძალა-უფლება მთელთა ხალხების ტერიტორიაზე გადავიდა ჩრდილო კავკასიის მთელთა კავშირის ხელში, 2) მთელთა კავშირის დროებითი მთავრობის შემადგენლობა გამოქვეყნებული იქნება 7 მარტს, 3) ყველა მოქალაქეებმა ხელი უნდა შეუწყონ წესრავისა და სრული მშვიდობიანობის დაცვას და 4) ყველა ფურცლები (ცალავეის ფურცელის მსგავსი) და ხმები, რაც ქალაქში ვრცელდება უპასუხისმგებლო ელემენტების მიერ ყალბია და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული.

კავკასის გაზეთი „კავკასია გაზეთი“ 4 მარტი, (ძვ. სტ.) მოწინავე წერილში ეხება მდგომარეობას ჩრდილო-კავკასიაში და ამბობს: „უბუნებლების ფრონტიდან გაქცევამ საბოლოოთ ვაბათილა იმედი სანაზრო მმართველობის შესახებ. უმაღლეს „ქრუგის“ „უკანმა“-ც ვერ აღადგინა ხალხში რწმენა დიად იღვებისადმი და სუსტი წითელ არმიელები წინ მოაწვენ, ამარცხებენ გმირებს, რომლებმაც არ იცოდნენ, რა იყო დამარცხება. ამავე დროს უკანინისა და ნოვოროსისის მცხოვრებლები მიყვებიან მახნოს, რომელსაც არავითარი უფლება არა აქვს ხალხის პარტიისცემა დაიმსახუროს. შემდეგ გაზეთი კითხულობს,—ერთი აიხსნება, რომ აქ (ჩრდილო-კავკასიაში) ხალხი არ მიყვება წინამძღოლებს, ხოლო იქ-კი,—და უპასუხებს: იმიო, რომ მახნომ მონახა კარგი ლოზუნგი—„მიწა გლეხებს, რუსეთს—მეფე“; იმიო, რომ ხალხს მოსწყინდა ყოველგვარი დიქტატურა და მოსწყინდა „დამფუძნებელი კრებაც“ კი. მახნოს ლოზუნგის პირველი ნახევარი,—განაგრძობს გაზეთი, ხალხს უკომენტარიოთ ესმის; მეორე ნახევარი, მოაგონებს მას უმაღლეს სამართლიანობას იდეალს. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს ინტელიგენც. დემოკრატიზაციას და წერილს ასე აპოლოგებს: ამ დაფასებამდე მიგიყვანა ჩვენ მწუხარებამ დაკარგულ მებრძოლთა სიცოცხლის შესახებ, მწუხარებამ განაყვებულ კულტურისა და შეურაცყოფილ იდეალებისა და სინიდისის შესახებ მიწა უკვე გაძლა სისხლით და დაღვრილ ცრემლთა ზღვამ გაახმაო სული.

**საერთო წესრიგი.**

ჩვენ კავკასიიდან გამოვიდით 21 მარტს. იქ მაშინ სრული ანარქია იწყებოდა. ჯერ კიდევ 20 მარტს ყველა სასურსათო მალაჩიები გაანადგურეს. შტაბმა გამოიწვია აფიცერთა ნაწილები, მაგრამ მათ უარი განაცხადეს წესრიგის აღდგენაზე და უკან გაბრუნდნენ. ყაჩაღებმა ჩვენს თვალ წინ მოჰკლეს ერთი აფიცერი, წაიყვანეს მისი ცხენი და გაუდგინენ გზას. წესრიგის დამკვირვებ აფიცრებს არავინ არაფერს ეკითხება... არავინ უსმენს და არც ისინი უსმენენ სხვებს... ზრული დემოკრატიზაცია, სრული გახრწნა, ამაზე შორს ჯარის გახრწნა არ წავა, ეს რაღაც წარმოდგენელი რამ არის...

ქალაქში საშინელი სიძვირეა, სურსათ-საწოვავის წარმოუდგენელი კრიზისია. თეთრ პურს სულ ვერ ნახავთ. შავი პური მოიპოვება, მაგრამ მეტად ძვირია.

ეკაუკია ხდება, მაგრამ სრულიად უსისტემოთ. გზაზე ჟირარხის ხეობაში ჩვენ ინგუშებმა სროლა დაგვიწყეს, დაგვიხვრეტეს ავტომობილი. ჩვენ ვუყვირეთ, რომ ქართველები ვართო, მაგრამ ამათ არ გვიშველა, შემდეგ გავუზახვეთ პარლამენტორი, რომელსაც წაართვეს მუხური და ჯიბეები გაუშინჯეს, როგორც იყო, ჩვენ მოვედით ყაზბეგამდე.

**რა იქნება ახლო მომავალში?**

არც ოსები და არც ინგუშები არ თანაუგრძობენ არც მოხალისეებს და არც ბალშევიკებს. თითოეული მათგანი უძღლური თავის თავად და ეტებზე მოკავშირეს. ახლა უკვე დაწყებულ იქნება ხოცვა-ჟლეტა ინგუშებსა და ოსებს შორის. რამოდენიმე დღის შემდეგ ასეთივე ხოცვა-ჟლეტა დაიწყება დანარჩენ ხალხთა შორის. ასე რომ იქ დამყარდება ვიცოცხლებით უარესი წესება, ვინემ მოხალისეთა ან ბალშევიკების ბატონობის დროს იყო

**დაგუშენებელი ქრებდა**  
23 მარტის სხდომა.  
თავმჯდომარეობს ალ. ლ-მთათიძე.  
მიდვანი კ. ჯ. ფარიძე კათხულობს კომისიებში ვადასაცე კანონ-პროექტებს და არტანის ოლქ ს. მუსუქანთა დეპუტას, რომელშიაც გამოთქვულა იმედი, რომ ბათუმი და მისი ოლქი, როგორც საქართველოს უდავო



# ლტოლვილები

ყაზბეგი (დებეზა). 22 მარტს, სალამოთი მხარის სოფლის დარჩენილი ნაწილები მოადგინეს ჩვენს სახლს. დღეს დავიწყებთ მათ განიარაღებას. კავკასი და მთელი თურქეთის ოლქი უბრძოლველად დასტოვეს. აუარებელი ლტოლვილები არიან. გამორბიან კავკასიდან, ჩვენ დაუბრკოლებლად ვუშვებთ დედაქალაქებს, ბავშვებს, ინვალიდებს და კულტურულ ძალებს. ქართველ ადგილებს და ცნობილ კონტრ-რევოლუციონერებს ვატუხალებთ. შევიპყარით თავიანთი ხალხის მოსალაგებები—გენერლები ხალილოვი და მალსაგოვი.

ჯუღელი, გურული, ყიფიანი, ფანიკვი.

# დევნებები

## ფრანგული პრესა.

ბერლინში შეთანხმება მოხდა მუშათა სინდიკატებსა და მთავრობის შორის. შაბათს ბერლინში დაბრუნდა სამი მინისტრი. ებერტს ორშაბათისათვის ელიან. ნოსკეს გადადგომა მიღებულია.

კვირას მილიერანი დიდხანს ეთათბირა მარშალ ფოშს.

ლუარის ოლქის მემბაროვეთა ვაფიცვა დასრულდა, რადგანაც საქმეში მთავრობა ჩაერია.

ლიბანის დელეგაციამ საზავო კონფერენციას განუცხადა პროტესტი დამასკოში მომხდარ კონგრესის წინააღმდეგ, რომელსაც სურდა ლიბანის ემირ ფაიკალთან შეერთება.

ელაშაველიდან „უტრანალს“ ატყობინებენ: ბელგის ჯარები გადაყვანილია რენის მარცხენა ნაპირზე. ანტანტის კომისია, რომელიც რენის მარცხენა ნაპირზე იმყოფებოდა გაიწვიეს მეორე ნაპირზე ისე, როგორც დასაბურვსა და რურში მყოფი ჯარები.

რომიდან იუწყებიან: 25 ან 26 აპრილს რომში შეიკრიბება ხალხთა ლიგის საბჭო.

გერმანიის ვახუთები აცხადებენ: სახელმწიფო ვადატრიალებს ჯერ-ჯერობით უკვე 8 ათასი მსხვერპლი შეეწირა.

გერმანიის მდგომარეობა ჯერ კიდევ დაუმდგომარეობია. ბერლინში უკიდურესებთან მოლაპარაკება გრძელდება. „პტი-პარიზიენი“ სწერს: ყოველივე დასრულდება საქმიანი კაბინეტის შედეგით. რურის ოლქი კომუნისტების ხელშია. ვახუთები სწერენ, რომ მთავრობა ამ ქაზად რურში თავს უყრის დიდ ძალ ჯარს და როგორც კი რომელიმე ოლქში მოწესრიგდება მდგომარეობა ამ ოლქიდან გადმოყავთ ჯარი და რურის ოლქში გზავნიან.

ამ გვარად სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მრავალი რაზმები გაიგზავნა იქ. მეორე მხრით რურის ჯარის ხაზი ვეხედის ოლქის ჩრდილოეთით იმყოფება. სპარტაკელების მოძრაობა დამოძლია. ინსურგენტები იჭურვებულნი იქნებიან მთავრობის დანებდნენ შემდეგ მხოლოდ იმით, რომ შიმშილით არ დაიბრუნდნენ. მაგრამ, „პტი პარიზიენის“ ცნობის თანახმად მდგომარეობა გამოსჯარკველია ჯერ-ჯერობით.

საქონლიაში და ბავარიაში სადაც ორი მიმდინარეობდა, ჩრდილოეთი მიიწვეს საბჭოთა ძალა-უფლებსაც, რომელსაც აღიარებულა მთვში და ნიურნბერგში სამხრეთით კი უფრო კონსერვატული და კათოლიკური გლეხთა პარტიის ვაფლენით. ზომიერმა ელემენტებმა მიუნხენში კაბინეტი მოაწვეეს.

ორშაბათს ნიტტიმ იტალიის დეპუტატთა პალატაში მთავრობის დეკლარაცია წაიკითხა. მის თაობაზე პროგრამა წაიკითხა და აშკარად განაცხადა:

ჩვენ გესურს საფრანგეთთან და ინგლისთან სრული შეთანხმებით ვიმოქმედოთ. საშინაო მომენტში საერთო უკრული კავშირი პასუხისმგებლობით განმტკიცებული უნდა იქნეს. ჩვენი დამოკიდებულება გულახდილია, წმინდა და არავის არ შეუძლია მისი შერყევა. მან პალატას აუწყა აგრეთვე ჯარის შემაღვლელობის შემცირების შესახებ. „მოკლე დროში წარდგენილი იქნება კანონ-პროექტი არმიის ახალი მოწყობის შესახებ, რომელიც საგრძობლად შეამსუბუქებს მცხოვრებლებზე დაწოდებულ სახეობის სიმძიმეს, და საქირაო დროსათვის, რომელიც მთელ ხალხს სამშობლოს დასაცავად მოამზადებს. საზღვაო ჯარის პირადი შემადგენლობა უკვე შემცირებულია 122000 კაციდან 42000-მდე.

ბერლინში უკიდურესთა სინდიკატები, რომელსაც მხარს უჭერენ დამოუკიდებელინიც, არ ცნობენ სინდიკატების ხელით ლეიენის მთავრობასთან შეთანხმებას. უკიდურესი მემარჯვენენი და მემარცხენენი ერთდებთან თანხმად სურვილებში მთავრობის ჩამოგდების

შესახებ. რურის სამრეწველო ოლქში თანდათან ეწყობა ძლიერი პროლეტარული ჯარი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით 4-5 სინდიკატმა საერთო ვაფიცვის ვაგრძელების სურვილი გამოთქვა.

„ნიუნსტა“-ბუქლავს 1918 და 1919 წლებში საბჭოთა მთავრობის მოქმედების ანგარიშებს. ამ ხნის განმავლობაში დაპატიმრებული იყო 128,000 კაცი, აქედან 21,032 კონტრევოლუციონერობისათვის, 19,763 სამხრურის დროს ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის, 8,367 სპეკულაციისათვის, 2,317 ჩვეულებრივი უფლების დარღვევისათვის, 9,514 ბოროტ-მოქმედებისათვის... დახვრტილია 9,641 კაცი, აქედან 7,963 კონტრევოლუციონერობისათვის.

# უცხოეთი

## გერმანიის დელეგაცია.

გერმანიის დელეგაცია პარიზში ირწმუნება, რომ ებერტის მთავრობამ ვაცა ბრძანება კაპის, ლიუფტიცის და მათ ამხანაგების დასაჭერად.

## ამერიკა და კილიკია.

შერთებულ შტატების სენატის გადაწყვეტილებით სასწრაფოთ იგზავნება ჯარი კილიკიაში და სავანგებო კომისია მირაბის არეულობის გამოსაძიებლად.

## სომხეთის საზღვრები.

ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება რომ ლონდონის კონფერენციამ დახაზა უკვე სომხეთის საზღვრები, რომელიც მეტად სასარგებლო და მისაღები იქნება სომხეთისთვის. იგივე კორესპონდენტიც გადმოცემით პოლს ნუბარს განუცხადებია, რომ სომხეთის ხალხი ძალიან კმაყოფილი არის, ვინაიდან ისინი თავისუფლებიან ოსმალეთის რეჟიმისაგან.

## იტალია და ოსმალეთის საკითხი.

იტალია მომხრეა იმის, რომ სულთანს დარჩეს კონსტანტინოპოლში. იტალია არავითარ შემთხვევაში არ გაიქცევა ისლამის საკითხში და ოტომანთა იმპერიის პოლიტიკას სთვლის მიზან-შეწონილად. იტალია მოითხოვს, რომ ოსმალეთის საზღვრები მჭკვიეთ იქნას გამოიჯნული, როგორც სტრატეგიული ისე გეოგრაფიული საზღვრები დაცულ უნდა იყოს.

## მიღერანი აღმოსავლეთის საკითხზე.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ვარეშე საქმეთა კომისიაში მიღერანმა მოხსენება გააკეთა აღმოსავლეთის საკითხის შესახებ. მიღერანის აზრით საფრანგეთს არა აქვს არავითარი პური სხვა უცხო ქვეყნების დაპყრობის ან შემოერთების. ის ხმები ვითომ სირიანზე საფრანგეთს რაიმე პრეტენზიები ჰქონოდა არ არის მართალი. რაც შეეხება კონსტანტინოპოლის საკითხს, მიღერანი ამბობს, რომ სასურველია კონსტანტინოპოლი დარჩეთ ისევე ოსმალეთს, მხოლოდ საერთაშორისო კონტროლის ქვეშ.

# მ რ მ ბ ა

## სიღნაღის ერობაში

სიღნაღის მაზრის ერობის სასურსათო განყოფილებამ შემდეგი აცნობა მომარაგების სამინისტროს: სიღნაღის მაზრაში იმყოფებიან სურსათ-სანოვავის შესაძენად სამინისტროებისა და დაწესებულებათა სხვა და სხვა რწმუნებულნი, რომელნიც ერთმანეთის შეჯიბრებით, რომ შეიძინონ მეტი, აძვირებენ ჭირნახულს. ასეთი მდგომარეობა არ არის სასურველი, როგორც სამაზრო საერთო გამგეობისათვის ასევე ვეფქობთ, თვით მთავრობისათვის, რომელიც ეწვეა აგრეთვე ხარჯს რწმუნებულების შესანახად, რაც ზედმეტად აწევს შეძენილ სურსათს. სიღნაღის სამაზრო საერთო გამგეობამ გადასწყვიტა თითონ აწარმოოს ყოველი ოპერაცია სურსათის შეძენისა მაზრაში. ამის სისრულეში მოსაყვანად ის ჰქმნის მოთელს აპარატს, რომელშიაც შედის ადგილობრივი წვრილ ერთეულების გამგეობანი, კოოპერატივები და კერძო აგენტები და ყოველ რაიონში სურსათის შეძენა ექნება მინდობილი იმას, ვინც მეტს უნარს და საქმიანობას გამოიჩენს ამ დარგში. ერთი თუ იქნება შეძენილ სურსათისა, მეორე იქნება კანტროლი და ასე სამაზრო ერობას განზრახული აქვს შეიძინოს ხორბლეულობა, მატყლი, თამბაქო, დაამზადოს ყველი, ერბო, შეშა, ნახშირი და სხვა, აგრეთვე შეიძინოს ვარე ბაზარზე ყველაფერი, რაც კი სჭირია მაზრას. ყველა ეს შეძენილი მიწოდოს მთავრობას, დაწესებულებათა და მაზრის მცხოვრებთ. ყველა ამას სჭირდება თანხები, რაც

სამაზრო საერთო გამგეობას არ აქვს და ამისათვის ის შუამდგომლობს მომარაგების სამინისტროს წინაშე გადაეცეს მას, როგორც სურსათ-სანოვავის შეძენა, ასევე გაეხსნას ამისათვის საჭირო კრედიტი. საერთო გამგეობა ფიქრობს, რომ ის შესძლებს უფრო იაფად და მეტი მიწოდოს მთავრობას სურსათ-სანოვავე და აპირებს მიმდინარეს, რომ მომარაგების სამინისტრო შეიწყნარებს მის შუამდგომლობას და სურსათის შეძენას მაინდობს მას.

## მთავარ კომიტეტის დადგენილებანი.

რადგან დამფ. კრებამ დაადგინა სამხედრო სამინისტროს უწყებაში არსებული საავთ-მყოფობი გადაცემულ იქნას ერობებისა და თვითმართველობების განკარგულებაში, ამის გამო ერობათა კავშირის კომიტეტი დაადგინა ეთხოვოს ხსენებულ საავთმყოფობის გამგეს ბ-ნ მგელაძეს მოიწვიოს სამხედრო უწყების ერობათა და ქალაქების კავშირთა წარმომადგენლების სავანგებო კრება იმის გამო-სარკვევად თუ რა პირობებით გადაეცეს თვით-მართველობებს სამხედრო სამკურნალოები. ერობათა კავშირის მხრივ ამ კომისიაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს თავმჯდომარის ამხანაგს.

— ფინანსთა სამინისტრომ ერობათა კავშირის კომიტეტს გადმოუგზავნა დასკვნისათვის გორის ერობის შუამდგომლობა ობლიგაციების ვაცემის შესახებ. ერობათა კომიტეტმა ამის გამო დაადგინა: რადგან მეტად სასურველია ამ გვარი სესხის აღება ერთი რომელიმე ცენტრალური ორგანოს მიერ და არა ცალ-ცალკე ერობებისაგან, მაგრამ ამ გვარი ორგანოს უქონლობისა და ერობათა ფინანსიურ კრიზისის გამო და იმ მოსაზრებით, რომ ამ სესხით დაინტერესებულნი არიან ყველა ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები—გორის ერობას დახმარება აღმოეჩინოს.

— ქუთ. ერობის წარმომადგენელმა ალ. პაპავამ მოახსენა ერობათა კომიტეტს, რომ ქუთაისის ერობას შეუძლია სულ მოკლე ხანში ჩააბაროს კომიტეტს 100.000 „კლიოპკა“, ხოლო საჭიროა ფასი ვადიდებულ იქნეს. სა-მაგიეროთ ქუთაისის მაზრა დღეს საჭიროებს შაბიბანს და თივას. კომიტეტმა დაადგინა შეძენილ იქნას „კლიოპკები“ ქუთაისის ერობისაგან და ვაგეზავნოს შაბიბანი და თივა.

— კომიტეტის წევრის ის. სტურუას მოხსენება კომიტეტმა მიიღო მხედველობაში ყარაიაზის მხარის მდგომარეობის შესახებ და დაადგინა: აყვანილ იქნას ყარაიაზისთვის ერთი ფერწალი და ერთი გამოცდილი პირი, რათა სამეურნეო მხარე ყარაიაზში კომიტეტის მოქმედებისა სასურველ ნიადაღზე იქნას დაყენებული.

— გორის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ქუთაისის საწყობებიდან კომიტეტმა შესწირა სხვა და სხვა საქონელი სამ მილიონზე მეტი მანეთის. კომიტეტმა დაადგინა მოხდეს ბუხალტერის საშუალებით შეფასება შეწირულ საქონლისა.

— ერობათა კომიტეტმა დაადგინა ოზურგეთის მაზრაში და ჩაქვშიაც თუ შესაძლებელი იქნება შეძენილ იქნას ბამბუკი.

— დედოფლის წყაროს თემის შუამდგომლობა სასწავლებლის განხის შემდეგ გადაგზავნილ იქნას სიღნაღის სამაზრო ერობაში დასკვნისათვის.

— მიწათ-მოქმედების სამინისტროს მონარეთა სამიჯნო განყოფილების დებულების პროექტზე დასკვნის მიცემის შესახებ განხილულ იქნა მიწ-მოქ. სამიჯნო განყოფილების გოვილაძის თანადასწრებით. მუხლობრივ წაკითხულ იქნა დებულების პროექტი და საერთო შეთანხმებით დამტკიცდა. შემუშავებული პროექტი ვაგეზავნა მიწათ-მოქმედების სამინისტროს.

— 40 ათასი ფუთი ნავთის შეძენა დედოფლის კომიტეტის წევრს ცეკვაშვილს.

— კომიტეტის წევრის ის. სტურუას მოხსენება სავარჯლოს, ბაღდაურის და კაჭრეთის დათვალიერების შესახებ მიღებულ იქნას ცნობათ. ეთხოვოს სტურუას სპეციალისტების დახმარებით შეისწავლოს საკითხი ბაღდაურში დიდ არხზე წისქვილის აშენებისა და მისი ექსპლუატაციისა და აგრეთვე სიმინდის ჩალის ღერებიდან პატაშის დაშლავებისა აღიარებულ იქნეს სასურველად ამ ადგილებში ხორბლეულობის შეძენა და კომიტეტის წევრი შეუდგეს ამის თადარიგს სათანადო ბეს მიცემით.

— აღიარებულ იქნას, რომ პრინციპიალიურათ სასურველია აფთიაქების და წამლეულობის შეძენის მუნიციპალიტეტისა, რაიც განხორციელდეს იქნას შეძლებისამებრ.

— არდაზრისა და მის ახლო-მანლო მდებარე სოფლების მცხოვრებთა დასახმარებლად გადაეცეს თბილი ტანსაცმელი კომიტეტის წევრს ცეკვაშვილს ვასანაწილებლათ.

— ერო-კავშირის თავმჯდომარემ მოახსენა კომიტეტს, რომ კანონი იძულებით შენობათა და ადგილების ჩამორთმევის შესახებ დიდ უკმაყოფილებას იწვევს და ირკვევა, რომ ეს კანონი შეცვლას მოითხოვს, რასაც მთავრობის ბევრი წარმომადგენელიც მხარს უჭერს. სასურველია ამის შესახებ კომიტეტმა ან ცალკე, ან ქალაქთა კავშირთან შეთანხმებით გამოსთქვას თავის აზრი. კომიტეტმა დაადგინა: შემუშავებულ იქნას კომიტეტის და ქალაქთა კავშირის საერთო აზრი და ამ მიზნით მოწვეულ იქნას სავანგებო თათბირი.

# დაგეგმავალ კავშირის კომისიაში.

დამფუძნებელ კრების საბოლოო საფინანსო კომისია შეუდგა 1919—1920 წ. სავარეო და იუსტიციის სამინისტროების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

— დამფუძნებელ კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მომარაგების სამინისტრომ წინადადება მისცა დაჩქარებით წარმოადგინოს ხარჯ-აღრიცხვა.

— საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კრებები დამფუძნებელ კრებასთან იმართება: ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით (საბიუჯეტო საკითხზე) ოთხშაბათობით და შაბათობით (მიმდინარე საკითხებზე).

# სხვა და სხვა

ბრიტანეთის უმაღლეს წარმომადგენელმა მისტერ ოლივერ უორდროპმა, ვარეშე საქმეთა მინისტრს ევ. გეგეკორს მიმართა თხოვნით, რათა მან უარკუოს ვახუთ „ვოზროფ-დენის“ 23 მარტის მოთავსებულ მეთაურ წერილში ვითომ მის მიერ წარმოთქმული შემდეგი სიტყვები: „ზოგიერთ ინგლისელ ოფიცერებს საქციელი ბათუმში მე მათქმურებს“ ეს სიმაართლეს არ შეეფერება და მას ეს სიტყვები არ წარმოუთქვამს.

— სასამართლო პალატის პროკურორმა აცნობა იუსტიციის სამინისტროს, რომ დუშეთის ამბოხების მონაწილეთა მიერ აღძრულია, რომ ისინი ვაანთავისუფლონ თავდებით. მათი საქმის ვარეშე დაინშნულია აპრილის 20-ს.

— ვანათლების სამინისტრომ ვაცა განკარგულება ყველა ერობებს, დაბალ და საშუალო სასწავლებლებს, რომ რესპუბლიკის ყველა სასწავლებლებში სწავლა დღესასწაულების გამო შესწყდება აპრილის 3-ს და განახლდება აპრილის 19-ს.

— სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ტფილისში ახლო მომავალში შეერთებულ შტატებიდან ჩამოვა აბრეშუმ-ქსოვილობის სავანგებო კომისია, რომელიც გამოგზავნილია ამერიკის მებარეშემეთა სინდიკატების მიერ. მათ განზრახვა აქვთ საქართველოს მებარეშემეთა შორის დაიჭირონ ფართე კავშირი და ურთიერთობა.

— პარასკევს, 26 მარტს, სალამოს 7 საათზე ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის) ქუჩაზე № 11, შესდგება საქართველოს ტენიკურ საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც მოხსენებას წაკითხავენ: ინჟ. გ. კაკაბაძე „შინამრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“ და მ. შალამბერიძე „ფხვნის ნახშირის გამოყენების საკითხი“.

— გუშინ ტფილისში გარდაიცვალა სომეხთა ცნობილი ლიტერატორი მავენჯანო.

— გუშინ ტფილისიდან ვაამგზავრეს სომეხთა ლტოლვილთა ემელონი 290 სული.

— გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის ექვემდებარება იქნა ქვაშვების წმინდა გიორგის ეკლესიაში მარტის 14, 21 და 22 902 მან. 20 კაპ. ფული ვაიგზავნა საქათალიკოსო საბჭოში.

— სახალხო სახლში დღეს სალამოს ქართ. წარმ. მართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „უღანაშულოდ დასჯილი“.

# საქართველოს სენიტი.

ვასულ 1919 წელს საქართველოში ჩამოვიდა იტალიის ტყეთა ინსპექტორი (რევიზორი) კაპიტანი მერენდი, რომელიც დაანტერესებული იყო ვაცნობოდა საქართველოს რესპუბლიკის ტყეების მდგომარეობას.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ აღმოუჩინა მას ჯეროვანი დახმარება და საშუალება მისცა ვაცნობოდა საქართველოს რესპუბლიკაში მდებარე ტყეების მდგომარეობას ტ. ლარსებას. ბ-ნ მერენდიმ იპოგზაურა სხვა და სხვა აღ-



ვილებში და დათავალიერა ტყეები მიწათ-  
მოქმედების სამინისტროს მოხელე-სპეციალი-  
სტების თანხლებით.

ბ-ნ მერენდის მიერ მაშინ დათავალიერ-  
ბული იქნა ცხინვალის რაიონის (მდინარე ლი-  
ახვის სათავეს ხეობა), რაჟის მაზრის (მდი-  
ნარე რაიონის სათავეს ხეობა) და ბორჯომის  
მიდამოებში მდებარე ტყეები.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცით,  
ბ-ნ მერენდი იტალიაში დაბრუნებისას მთე-  
ლი ტომი დასწერა და გამოაქვეყნა საქარ-  
თველოში მოგზაურობის და აქაური ტყეების  
მდგომარეობის და ღირსების შესახებ, რამაც  
დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოი-  
წვია იტალიის მრეწველთა წრეებში. მით  
უმეტეს, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ 1910  
წლიდან იქნა მიტყეული იტალიის ხე-ტყის  
მრეწველთა ყურადღება საქართველოში და-  
ბადებიდან ხელშეუხებელი და თავისი ღირ-  
სებით მდიდარი ტყეების დამუშავებას. ამ  
დროს (1910 წ.) იტალიის მრეწველი ბ-ნი  
სბროიაეკას მიერ გახსნილ იქნა სოფელ  
საქილაოში (აბაშის ახლო მდებარეობს) და  
ქალაქ ფოთში ხე-ტყის ქარხანა სადაც, საუ-  
ბედლოდ, მხოლოდ 1915 წლამდე წარმო-  
ებდა ინტენსიური მუშაობა. ამ ქარხნების  
მუშაობა შეჩერდა ომიანობის გამო და დღე-  
მდე არ ამუშავებულა. თავის დროზე ამ ქარ-  
ხანების გვირგვამო აუარებელი მუშა ხელი  
იყრდა თავს, აუარებელი ხე-ტყის მასალა  
მუშავდებოდა.

მიმდინარე წელს ბ-ნი მერენდი იტალიის  
მისიისთან ერთად ხელახლა ეწვია საქართვე-  
ლოს, ინჟინერ პარიზის თანხლებით, ტყე-  
ების ექსპლოატაციისათვის უფრო რეალურ  
ნაბიჯების გადასადგმელათ. მან ხელ-ახლა  
შოიარა ის ადგილები, სადაც მოსახერხებე-  
ლია ხე-ტყის ქარხნების გახსნა და მოწყობა.  
დათავალიერა ხე-ტყის ქარხნები ფოთისა  
იტალიელ მრეწველის (სბროიაეკასი) საჭი-  
ლაოსი (სბროიაეკასი) და ბაღდათისა. საშ-  
წუხაროდ ამ ეამად მან ვერ შესძლო ბაღდა-  
თის და სხვა ადგილების ტყეების დათავალი-  
ერება, ამ ადგილებში დიდი თოვლის  
გამო.

როგორც გავიგეთ, ბ-ნი მერენდის რამო-  
დენიმე მოსაზრებანი გამოუთქვამს მიწათ-  
მოქმედების სამინისტროსთვის ტყეების ექს-  
პლოატაციის და მომავალ მუშაობის გეგმის  
შესახებ და ამ ეამად სწარმოებდა აზრთა გა-  
ცვლა-გამოცვლა მის და მიწათ-მოქმედების  
სამინისტროს შორის ამ საკითხის გვირგვამო.

იტალიის მრეწველობა საჭიროებს დიდძალ  
ხე-ტყის მასალას და დანტერესებულია სა-  
ქართველოს მდიდარ ტყეებით და მისი ექს-  
პლოატაციის სასურველად მოგვარებით.

ამისათვის სასურველია, რომ სამინისტრო  
ხელსაყრელ პირობებით შეეცდებოდეს იტა-  
ლიის წარმომადგენლებს.

დ. უ-ელი.

**გ ა ნ ც ხ ა დ მ ბ ა ნ ი**

დაიკარგა იავორ გეორგიძის ბინის დავთა-  
რი, რომელიც მდებარეობს კონსტანტინეს  
ქუჩაზე № 30. გაუქმებულია ჩაითვალოს.  
546 3-1

აოშაკ ტომას ძე კაკალოვი აცხადებს, რომ  
მან დაჰკარგა პასპორტი № 503. გაუქმებუ-  
ლათ ჩაითვალოს.  
547 3-1

დაკარგულია ზაქარია გიორგის ძე ტერტე-  
რევის დავთარი სახლისა, რომელიც მდებარე-  
ობს ნორიოს აღმართზე № 9. მე-9 უბ. და-  
ვთარი გაუქმებულია ჩაითვალოს.  
548 3-1

გრიგორი სერგოს ძე არუთინოვი აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა თავის საკუთარი, სო-  
მხების მაზრაში № 5. მდებარე, სახლის და-  
ვთარი. გაუქმებულია ჩაითვალოს.  
549 3-1

გიორგი ისაკის ძე შუბლაძე აცხადებს, რომ  
მან დაჰკარგა პასპორტი; პირადობის მოწმე-  
ბები მიღებული კახეთის რკინის გზის სამმა-  
რთველოდან და სახალხო გვარდიის მე-6 რაიონ-  
ის შტაბისგან და მესამე და მეოთხე ხარის-  
ხის ჯგირის მოწმებები. გაუქმებულია ჩაით-  
ვალოს.  
550 3-1

დაიკარგა ორი სულის სასურსათო ბარათი  
№ 28445 ბრანისლავ პაშკარანის სახელზე.  
გაუქმებულია ჩაითვალოს.  
551 3-1

ერვანდ ალექსანდრეს ძე გუჯასოვი აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღე-  
ბული ტფ. მილიციის უფროსისგან და მეტ-  
რიკული ამონაწერი შიკვმული ფეთხანის  
ეკლესიის მღვდლისაგან. გაუქმებულია ჩაი-  
თვალოს.  
562 3-1

ივანე ტიგრანის ძე ტერ მატუზოვი აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმე-  
ბა დამტკიცებული ტფილისის ნოტარიუსის  
კარაკაშის მიერ. გაუქმებულია ჩაითვალოს.  
553 3-1

ალექსანდრე იოსების ძე კუროგსკი აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა ტფილის-  
ის მიხეილის სახელგამძის რკინის გზის ტენი-  
კური სასწავლებლის დამთავრების № 845.  
გაუქმებულია ჩაითვალოს.  
527 3-1

დაიკარგა კვებერელ-კობახის დავთარი სა-  
ხლისა, რომელიც მდებარეობს მე-6 უბანში მე-  
ხუთე ფერმის ავლაბრის ქუჩაზე № 45. გაუ-  
ქმებულია ჩაითვალოს.  
528 3-1

სოფიო იოსების ასული თურზოვი აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა საბინაო დავთარი  
მისი სახლის, რომელიც მდებარეობს თელა-  
ვის ქუჩაზე № 4. გაუქმებულია ჩაითვალოს.  
529 3-1

გრიგორი და სტეფანე სერგოს ძენი არუ-  
თინოვები აცხადებენ, რომ მათ დაჰკარგეს  
ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფ-  
ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის  
მიერ 1918 წ. 12 ნოემბერს რეესტრით  
№ 190. გაუქმებულია ჩაითვალოს.  
530 3-1

ივანე არსენის ძე თელია აცხადებს, რომ  
მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული საჭი-  
ლოს სოფლის სამმართველოდან, სამხედრო  
ბეგრადან თავისუფლების მოწმობა, მიღებუ-  
ლი სენაკის მაზრის სამხედრო უფროსისგან.  
გაუქმებულია ჩაითვალოს.  
554 3-1

ა. წ. 4 მარტს დაკარგული სასურსათო  
ბარათი № 16059 გაუქმებულია ჩაითვალოს.

გიორგი სიმონის ძე აბულაძე აცხადებს,  
რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიცემული 1  
გიორგობისთვის 1919 წელს. № 610. პას-  
პორტი გაუქმებულია ჩაითვალოს.  
544 3-1

ოვანეს კარაპეტის ძე არაქლოვი აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა პანახონოვის სახ-  
ლის დავთარი, რომელიც მდებარეობს სერე-  
ბრიათი ქუჩაზე № 21. გაუქმებულია ჩაითვა-  
ლოს.  
498 3-1

ოლა მიხეილის ასული ვატიტაძე აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგე-  
ლი დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასა-  
მართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1911  
წელს, რეესტრით № 1149, გაუქმებულია  
ჩაითვალოს.  
473. 3-2

ვლადიმერ ადამის ძე მოკოვსკი აცხადებს,  
რომ მან დაჰკარგა ორი სულის სასურსათო  
წიგნაკი № 260. გაუქმებულია ჩაითვალოს.  
526 3-1

რუბენ სპირიდონის ძე ბენდელიანი აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღე-  
ბული სოფ. უწერას სამართველოდან 1920 წ.  
გაუქმებულია ჩაითვალოს.  
510 3-1

ავეტოქ მელქუმას ძე ხაჩიშვილი აცხადებს, რომ  
მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სიღნა-  
ლის ქალაქის თვითმმართველობისაგან 1879 წ.  
№ 568, გაუქმებულია ჩაითვალოს.  
514 3-1

დანიელ ფარსადანის ძე ისიანი აცხადებს,  
რომ მან დაჰკარგა უფადო პასპორტი, მიღე-  
ბული ქუთ. პოლიციისტიერის სამართველო-  
დან, გაუქმებულია ჩაითვალოს.  
506 3-1

არშაკ საგატელას ძე საფარიანი აცხადებს,  
რომ მან დაჰკარგა საკუთარი ბინის დავთა-  
რი, რომელიც მდებარეობს 3 კომისარიატში  
კოჯორის გზა-ტყეილზე, გაუქმებულია ჩაი-  
თვალოს.  
508 3-1

მე-8 უბნის უფროსი მილიციონერი იოსებ  
დავითის ძე შარაშიძე აცხადებს, რომ მან  
დაჰკარგა პირადობის მოწმობა სურათით, მი-  
ღებული ტფ. ქალაქის მილაციის უფროსის  
სამართველოდან 1920 წ. გაუქმებულია ჩაი-  
თვალოს.  
516 3-1

მე-4 უბნის სასამართლოს ბოქაული კრაუ-  
ლისი აცხადებს, რომ 1920 წ. 29 მარტს,  
დილის 10 ს., ველიამინოვის ქ., № 4, მის  
მიერ დანიშნულია არტაშეს ხაბაზოვის მოძ-  
რავი ქონების საჯარო ვაჭრობა. აღნიშნული  
ქონება შესდგება სახლის ავეჯეულობისაგან,  
სარკისაგან და სურათებისაგან და შეფასე-  
ბულია 1.700 მან.  
511 1-1

პელაგია დავითის ასული ვარდოშვილისა  
აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის  
მოწმობა, მიღებული სოფ. ოდისეის სამარ-  
თველოსაგან, № 559, გაუქმებულია ჩაითვა-  
ლოს.  
511 3-1

ანდია გიორგის ძე ბებურიშვილი აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო წიგ-  
ნაკი № 4921, მიღებული ტფ. ქალაქის გამ-  
გეობის სასურსათო განყოფილებისაგან, გა-  
უქმებულია ჩაითვალოს.  
502 3-1

სოფიო პეტრეს ასული უნაძე აცხადებს,  
რომ მან დაჰკარგა პასპორტი; მიღებული  
ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსის სამ-  
ართველოდან 1919 წელს № 8801, გაუქმე-  
ბულია ჩაითვალოს.  
503 3-1

იობი გაბრიელის ძე მჭედლიშვილი აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღე-  
ბული გორის მაზრის სამხედრო ბეგრის სამ-  
ართველოდან 1917 წელში, გაუქმებულია  
ჩაითვალოს.  
504 3-1

ვალენტინა ანდრეას ასული უნაძე აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა საპენსიო წიგნი  
№ 760, მიღებული ტფილისის ხაზინიდან.  
გაუქმებულია ჩაითვალოს.  
505 3-1

გიორგი ივ ნეს ძე ამილახვარი ამით აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა ბირეაზე  
სიარულის ნებართვისა მიღებული ქალ. მილი-  
ციის უფროსისგან, სანიტარული გადასახა-  
ლის და ცხენების ბაჟის გადახდის ბარათი  
№ 69107 69108 მიღებული ქალაქის გამგეობის  
ხარჯის ამკრეფთაგან. გაუქმებულია ჩაითვა-  
ლოს.  
497 3-1

მილიციელი კონსტანტინე ჯიბუტია აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა ტრამვაზე მიმოს-  
ვლის მოწმობა № 282, მიღებული მილიციის  
სამართველოდან. მოწმობა გაუქმებულია ით-  
ვლება.  
408 3-1

ზაქარია ხაჩატურის ძე არიუთინოვი აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა სახლის დავთარი  
1919 წ. მე-7 უბ. რკინის გზის ლიანდავის  
გადაღმა მდებარე სახლის. დავთარი გაუქმე-  
ბულია ჩაითვალოს.  
429 3-1

შალვა ამბაკოს ძე დუნღო აცხადებს რომ  
მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 173,  
მიღებული მილიციის უფროსის სამართვე-  
ლოდან 29 იანვრის 1920 წ. და მეტრიკული  
ამონაწერი სოფ. საქილაოს წმიდა გიორგის  
ეკლესიისაგან. გაუქმებულია ჩაითვალოს.  
330 3-3

კაპიტონ ბესარიონის ძე გოგასძე აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა სალექციო წიგნაკი  
(მეტრიკული) მიღებული სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტიდან 19 თებერვალს 1920 წელს  
გაუქმებულია ჩაითვალოს.  
494 3-3

ზაქარია სოლომონის ძე პაპელოაშვილი  
აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ექვის სულის  
სასურსათო წიგნაკი № 20867 მიღებული  
მის სახელზე ტფ. ქ. გამ. სასურსათო განყო-  
ფილებიდან, გაუქმებულია ჩაითვალოს.  
495 3-3

შაიხმედ მაიაფედინის ძე ბულგაკოვი აც-  
ხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მი-  
ღებული სოფ. ბოიკევის (პენზის გუბერნია)  
სასამართლოდან. გაუქმებულია ჩაითვალოს.  
496 3-3

თამარ გრიგოლის ასული ქვინტი აცხად-  
ებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწ-  
მობა მიღებული ტფილისის ქალაქის თვით-  
მართველობიდან. გაუქმებულია ჩაითვალოს.  
493 3-2

ვასილი გოგიაშვილი აცხადებს, რომ მან  
დაჰკარგა მოწმობა მიღებული ერობათა კავ-  
შირიდან 1919 წელს 13 დეკემბერს № 276  
და პასპორტი მიღებული ახალქალაქის სოფ-  
ლის სამართველოდან № 98. გაუქმებულია  
ჩაითვალოს.  
417 3-2

დავარგე ერობიდან სურსათის მისაღები  
წიგნაკი, № 66, რომელზედაც აწერია კოტე  
კანდელაკი. მკონენს ვიხოვ დამიბრუნოს  
შემდეგი მისამართით: ტფილისის ერობა კო-  
ტე კანდელაკს. წინააღმდეგ შეათხვევაში გაუ-  
ქმებულია ითვლება.  
406 3-2

იოსებ გრიგოლის ძე არანუტოვი აცხადებს,  
რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფი-  
ლისის მდამიო მოქალაქეთა სამართველო-  
დან 15 ნოემბერს 1919 წელს № 3096. გაუ-  
ქმებულია ჩაითვალოს.  
430 3-2

ზაქარია იაკობის ძე კორგანოვი აცხადებს,  
რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი,  
დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამარ-  
თლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 5 სექტემ-  
ბერს 1892 წ. რეესტრით № 1207. გაუქმე-  
ბულია ჩაითვალოს.  
397 3-2

**ტფ. საბაჟო**

ამით აცხადებს, რომ 3 აპრილს 1920 წ. დი-  
ლის ათ საათზე, ტფ. საბაჟოს შენობაში გა-  
იყიდება საბაჟოს მიერ ჩამორთმეული საქო-  
ლი, სახელდობრ: პაპიროსი, თამბაქო, წუმ-  
წუმა, საპონი, მანუფაქტურა, დაწერილი ქა-  
ღაღები და სხვა და სხვა. 326 3-2

**გიულატანი**  
**საქარ. შიგ. მოსარკავსო რიის**  
ტფილისი 23 მარტი, 1920 წ.

ნაშუად. 1 საათ. ჰაერის წოლა მმ.: 723.9;  
ჰაერის ტემპერატ.: 9.2; შეფარდებ. სინოტ.  
%: 84; მოღრუბლ.: 10; ქარი: SE 4; დედა  
მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 12.8;  
ბუნებრივ.: 13.0.  
სადამ 9 საათ.: ჰაერის წოლა მმ.: 723.6;  
ჰაერის ტემპერ.: 7.9; შეფარდებ. სინოტ.  
%: 88; მოღრუბლ.: 10; ქარი: SE 3; დედა  
მიწის ზენაპირ. ტემპერ. მოშიშვლებ.: 8.4;  
—ბუნებრივ.: 7.6; ჰაერის საშუალო ტემ-  
პერატ. 23 მარტს: 8.5; ნორმალი: 7.6;  
მაქსიმალი: 10.4; მინიმალი: 7.7.  
დილ. 7 საათ. 24 მარტი. ჰაერის წოლა მმ.:  
726.5; ჰაერის ტემპერ. 6.8; შეფარდებ. სი-  
ნოტოვ. %: 81; მოღრუბლ.: 6; ქარი: ESE 2;  
დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლე  
ბულ.: 6.8; ბუნებრივ.: 7.4 ატმოსფერის  
ნალექი.: 0.3 შენიშვნა: წვიმ. დილ.

დილ. 7 საათ. 23 მარტი.

დაკვირვე- ბის ადგილი	ჰაერის ტემპერ.	მინიმალი ტემპერ.	ნალექი მმ.	ქარი	მლოერი წილად
ტფილ. 1)	8.3	8	0	SE 1	—
ბორჯომი	0.6	—1	—	—	—
ფოთი	13.3	5	—	ENB 7	1
სოხუმი	10.8	7	—	NNB 1	0
გაგრი	7.0	7	—	—	0

შენიშვნა: 1) წვიმა დამ.

**პირველი აზერბაიჯან-საქართველოს ნავთობის  
სამრეწველო აზხანაგომა**

მთავარი კანცარა ქ. ბაქოში, ძველი პოლიციის ქუჩა № 14, ტელეფ-  
30-56 განყოფილება ქალ. ტფილისში, (სახტუმრო „ავგრორა“), სამტრე-  
დიანში, ხონში, მაღრი იქნება ფოთში და ქუთაისში.

პარტიე გვაქვს ვაცნობით საქართველოს რესპუბლიკის პარტიეცემულ მოქალაქეთ ნავ-  
თის და მისი პროდუქტების მოვაჭრეებს, აგრეთვე დაწესებულებებს, მიაქციონ ყუ-  
რადღება ჩვენს 1 მარტს 1920 წ. ახალ გახსნილ ფირმას. ფირმა აწვდის ყველს  
საქონელს, ხელმისაწვდომ ფასებში, როგორც ადგილობრივ საქართველოში, აგრე-  
თვე ტრანზიტები ყველა ქვეყანაში, ყოველნაირ ქურტულებით: ქაბები, ბიტონე-  
ბით: ნავთს, მანუთს, ბენზინს, მაშინის ზეთს, საპონის სუროვარს, სოლიარეოვს,  
ვერეტენოვ ზეთებს, ეტლების მავებს, და სხვა ნავთის ყოველნაირ პროდუქტებს,  
ყოველივე საქმის დაჩქარებისათვის რკინის ვაგონებს, ნავთის სადენში, ბაქოს რიგში,  
ლეზულობს თავის თავზე მოთავსობას; უკვეთები მიიღება ქალაქ ტფილისში: სას-  
ტუმრო „ავგრორა“ ვარანკოვის ძეგლთან დილის 9-2 საათამდე. სალამოს 6-9  
საათამდე, აგრეთვე ქალაქ სამტრედიანში საწყობთან ერთად, ქ. ხონში, ქ. ბაქოში  
ძველი პოლიციის ქუჩა, № 14, ტელეფონი 30-56. 512 1-1